ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თსუ საბავშვო უნივერსიტეტი აგრძელებს საგანმანათლებლო პროექტს არაქართულენოვანი რეგიონების სკოლებში.

25 ოქტომბერს თსუ საბავშვო უნივერსიტეტი ახალალაქის საჯარო სკოლებს და საგანმანათლებლო რესურს ცენტრს ეწვია.

თსუ რექტორის მრჩეველმა საბავშვო უნივერსიტეტის კოორდინატორმა დოქტ. მარინა ლომოურმა და საბავშვო უნივერსიტეტის პროგრამების კოორდინატორმა გიორგი გრიგოლაშვილმა ისაუბრეს საბავშვო უნივერსიტეტის პროგრამებზე და ამ პროგრამებში ახალქალაქის სკოლების ჩართვაზე.

შეხვედრა გაიმართა ახალქალაქის ქართულ და რუსულ სკოლებთან. ასევე ახალქალაქის საგანმანათლებლო რესურს ცენტრის ხელმძღვანელთან ნარცის კარაპეტიანთან. შეხვედრის დროს განვიხილეთ უნივერსიტეტსა და საგანმანათლებლო რესურს ცენტრს შორის თანამშრომლობის და სამომავლო პროექტების გეგმები. ჯავახეთის რეგიონში საგანმანათლებლო სივრცეში არსებული პრობლემები.

სკოლის მოსწავლეებს მიმართეს თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკური მეცნიერების მიმართულების პროფ. მალხაზ მაცაბერიძემ, თსუ პედაგოგიკის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა პროფ. ქეთევან ჭკუასელმა და თსუ მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელმა სანდრო მარუაშვილმა.

თსუ საბავშვო უნივერსიტეტი სისტემატურ საგანმანათლებლო პროგრამებს გეგმავს ჯავახეთის მხარის სკოლებთან. საწყის ეტაპზე დაგეგმილია ექსკურსიები უნივერსიტეტის პირველ კორპუსში. ერთობლივი კონფერენცია და online ლექციები.

ყველას ვისაც სურვილი გაქვთ ჩაერთოთ პროგრამასი დაგვიკავშირდით: თბილისი ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი ოთახი #326. ან მოგვწერეთ junior@tsu.ge Facebook/თსუ საბავშვო უნივერსიტეტი